BAGVASHI. SCIEFINTIFIC COLLECTION. EDITORS: Z. ABASHIDZE AND K. PAGHAVA, TBILISI, 2021

ბაღვაში. სამეცნიერო კრებული. რედაქტორები ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა, თბ., 2021

Goneli Arakhamia
Doctor of Historical Sciences,
Georgian National Academy of Sciences,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995)595094392; goneli.araxamia@gmail.com

Abstract

The study of adventures of historical families contributes much to the Georgian historiography. The recently published work by the author's team is dedicated to the history of the feudal Bagvashi family.

The collection is thematically diversified: it rises a number of original issues, views a variety of familiar topics in a new light, and employs unusual materials. In general, the collection is a generalization of the history of the Bagvashi family and its branches. Each essay offers convincing argumentations and prudent hypotheses, while highlighting future prospects. It is clear that the readers will accept the Collection with enthusiasm.

გონელი არახამია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995)595094392; goneli.araxamia@gmail.com

ისტორიული საგვარეულოების თავგადასავლის კვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ახლახან გამოქვეყნებული ავტორთა კოლექტივის დასახელებული ნაშრომი ბაღვაშთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიას ეძღვნება. ნაშრომში, პირველ რიგში, წარმოდგენილია ბაღვაშთა საგვარეულოს გენეალოგიური სქემა, რომლის ავტორები არიან ი. ბიჭიკაშვილი და ყ. ფაღავა (გვ. 9-91). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სტატიაში შეჯამებულია ბაღვაშთა საგვარეულოს გენეალოგიის შესწავლაში წინამორბედ თუ თანამედროვე მკვლევართა მიერ მიღებული შედეგები, რომელთა განხილვის საფუძველზე ავტორები ახლებურად წარმოგვიდგენენ ბაღვაშთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენლის გენეალოგიასა თუ მოღვაწეობის ქრონოლოგიას. ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ გენეალოგიური სქემის თითოეულ პერსონაჟს ახლავს ისტორიული წყაროების სრული ჩამონათვალი, სადაც ის იხსენიება და სია სამეცნიერო ნაშრომებისა, სადაც განხილულია აღნიშნული პერსონის იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხები. ასე რომ, დაინტერესებულ მკითხველს ეძლევა სრული

ბიბლიოგრაფია ბაღვაშთა საგვარეულოს ისტორიული თავგადასავლის შესახებ. დასახელებულ ნაშრომს ერთვის ბაღვაში-კახაბერიძეებისა და ბაღვაშ-ორბელთა გვერდითი შტოს სივნიელ ორბელიანთა გენეალოგიური ტაბულები.

კრებულში შეტანილია ყ. ფაღავას ნარკვევი „მასალები ბაღვაშთა ისტორიისათვის“ (გვ. 92-117), სადაც მოკლედ განხილულია ბაღვაშებისა და მათი განშტოებების - კახაბერიძეებისა და ორბელების წარმომადგენელთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (IX-XIII სს.), ბაღვაშ-კახაბერიძე-ორბელების თვალსაჩინო წარმომადგენლების (ლიპარიტ IV ბაღვაში, ივანე I ბაღვაში, კახაბერ IV კახაბერისძე, ივანე II ორბელი, სუმბატ I ორბელი, ივანე III ორბელი, სუმბატ III ორბელი, ტარსაიჭ ორბელი) მოკლე ბიოგრაფიები და ბაღვაშ-კახაბერისძე-ორბელების სავარაუდო განშტოებები და მათგან მომდინარე საგვარეულოები.

სრულიად ახალი მასალა შემოაქვს თ. გოგოლაძეს ბაღვაშთა ფეოდალური სახლის განშტოებათა შესწავლაში (იხ. კრებულის გვ. 130-140). ალგეთის ხეობაში (სოფ. საფუძვრები) ახალმიკვლეული ლაპიდარული წარწერისა და მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერის ახლებური წაკითხვის საფუძველზე მკვლევარმა შემოგვთავაზა საფუძვლიანი ვარაუდი ქვემო ქართლში ბაღვაშთა კიდევ ერთი განშტოების - სვერელთა გვარის შესახებ XI საუკუნეში.

მასალის სიახლით გამოირჩევა ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ვერნერ ზაიბეტის („ლიპარიტების ქართული დიდაზნაურული სახლი და ბიზანტია XI-XII საუკუნეებში“ (გვ. 142-156), აგრეთვე ალექსანდრა-კირიაკი ვასილიუ ზაიბტისა და გერტ ბოერსმას („იყო ქართველი დიდაზნაური ნიანია ლიპარიტი 1050-იანი წლების დასაწყისში ბიზანტიის იბერიის თემის სამხედრო მეთაური“, გვ. 157-163) სტატიები. ავტორებს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ ქართული ისტორიოგრაფიისთვის სრულიად უცნობი მასალა, კერძოდ, ბიზანტიური საბეჭდავები (ბეჭდები), სადაც XI-XII სს-ში ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მყოფი ბაღვაშთა სახლის წარმომადგენლები (მიქაელ პროედროსი, მკურნალი მანუელი, მოსამართლე ბასილი, იბერიის თემის კატეპანი ნიანია) იხსენიებიან.

ბაღვაში გვარ-სახელია თუ ზედწოდება - ამ საკითხის გარკვევას ისახავს მიზნად მ. ბახტაძისა (იხ. კრებულის გვ. 164-172) და ყ. ფაღავას (იხ. კრებულის გვ. 173-177) სტატიები. ავტორები ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს იცავენ, რითაც მკითხველს საშუალება ეძლევა სრულად გაეცნოს თითოეული მოსაზრების არგუმენტაციას.

ჯ. სამუშიას ნარკვევში (იხ. კრებულის გვ. 179-206) შესწავლილია საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის 15-წლიანი (1040-1055 წწ.) ბრძოლის ისტორია. ნაჩვენებია ამ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფონი, წარმოჩენილია, აგრეთვე, კონფლიქტის ფსიქოლოგიური ასპექტები.

ქ. ქუთათელაძე მსჯელობს ბაღვაშ-ორბელთა სახლის სამფლობელოებზე ქვემო ქართლში (სამშვილდე, ზურტაკერტი, ლორე), ორბელთა გვარის წარმომავლობაზე ბაღვაშთაგან, ახალი გვარის ეტიმოლოგიაზე და ა.შ.

სტატიაში „ბაღვაშთა სახლი თრიალეთში“ (კრებულის გვ. 242-272) გოდერძი მირიანაშვილი განიხილავს გვარის ძირითადი შტოს - კლდეკარის ერისთავების აქტივობას X-XI სს. ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში. ეს პროცესი იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანი იყო, რომ ბაღვაშთა ქმედებების ცალსახა შეფასება ძნელია.

ი. ფაღავას სტატიაში (კრებულის გვ. 273-318) წარმოდგენილია კახეთ-ჰერეთის მეფის გაგიკ I-ის (XI ს-ის 30-იანი-50-იანი წლები) პოლიტიკური მოღვაწეობის ვრცელი აღწერა და მისი კავშირი ლიპარიტ ბაღვაშთან.

1047 წ. სასირეთის ბრძოლაში ბაგრატ IV-ის მხარეზე მებრძოლ ვარანგთა ვინაობის საკითხს ეხება ნ. ხოფერიას ნაშრომი (კრებულის გვ. 319-334). არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის საფუძველზე ავტორი აჩვენებს, რომ აღნიშნული ვარანგები ნაკლებად სავარაუდოა შვედი ვიკინგის, ინგვარ მოგზაურის მეომრები ან ბიზანტიის ტყვეობიდან განთავისუფლებული (1043 წ.) რუსთა რაზმი ყოფილიყო, თუმცა ეს გარემოება სრულებით არ აყენებს ეჭვქვეშ ბაგრატ IV-ის ლაშქარში მოქირავნე ვიკონგთა რაზმის ყოფნას.

ჰ. აკოპიანის წერილში (კრებულის გვ. 335-347) შესწავლილია ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც ორბელთა გვარის სომხური განშტოება - ორბელიანები XIII-XV სს. ფლობდნენ არარატის ველსაც ძირითად სამფლობელოსთან - სივნიეთთან ერთად.

ყ. ფაღავას, ი. ბიჭიკაშვილისა და ა. ბაღიშვილის ერთობლივ სტატიაში აღნუსხულია ბაღვაშებისა და მათი განშტოებების წარმომადგენელთა ძალისხმევით აგებული ეკლესიები საქართველოში (არგვეთი, ატენის მხარე, თრიალეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-არგვეთი) და სომხეთში, აგრეთვე, საქართველოს სხვა რეგიონებში (ჯავახეთი, ოდიში, აფხაზეთი).

ლ. კიკნაძის სტატიაში (კრებულის გვ. 363-371) გაანალიზებულია „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ცნობები ლიპარიტყოფილი ანტონის შესახებ და ადგენს, რომ ანტონ ლიპარიტყოფილი შავ მთაზე წმ. ბარლაამის ქართული მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო 1057-1064 წლებში, როდესაც ბაგრატ IV-თან ბრძოლაში დამარცხებული ლიპარიტ ბაღვაში ბერად აღიკვეცა და საქართველოდან გააძევეს.

ნ. ჩაკვეტაძის სტატიაში განხილულია (კრებულის გვ. 372-389) დიდი გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესიის (XI ს.) არქიტრავის რელიეფური სკულპტურა. ანალოგიური მასალის საფუძველზე მოცემულია საკვლევი სკულპტურის იდენტიფიკაციის ცდა და დასახულია მისი სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათისა და რაობის განსაზღვრის გზები.

რ. საყვარელიძის სტატიაში („რატი ბაღვაშის ფრესკული პორტრეტის ფსიქოლოგიური ანალიზის საკითხისათვის“, კრებულის გვ. 390-394) რაჭის ერისთავის, რატი კახაბერისძის ფრესკული პორტრეტის ფსიქოლოგიური ანალიზის ფონზე ამ მიმართულებით ნაჩვენებია დ. უზნაძის განწყობის თეორიის რესურსი, ამასთანავე ხაზგასმულია ინტერდისციპლინური მიდგომის საჭიროება.

ისტორიული პიროვნების შეფასების ტრადიციულ კრიტერიუმებს,

პ. მონიავას აზრით, მიზანშეწონილია დაემატოს კრიმინოლოგიის ქვედარგის - ვიქტიმოლოგიისათვის („მსხვერპლის შესახებ სწავლება“) დამახასიათებელი ხერხები და საშუალებები. მკვლევარი ამ თვალსაზრისით განიხილავს ლიპარიტ ბაღვაშის პიროვნებას და ძალიან საინტერესო დასკვნებსაც გვთავაზობს. (იხ. კრებულის გვ.395-407)

როგორც ვხედავთ, კრებული გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, დასმულია მრავალი ახალი საკითხი, მრავალი უკვე ნაცნობი თემა ახლებურადაა განხილული, მიმოქცევაში შემოტანილია არაერთი ახალი მასალა. მთლიანობაში კრებული წარმოადგენს განმაზოგადებელ ნაშრომს ბაღვაშთა სახლისა და მისი განშტოებების ისტორიის შესახებ. მასში შესული თითოეული ნარკვევი გამოირჩევა დებულებათა არგუმენტაციის დამაჯერებლობით, ფრთხილი ჰიპოთეზებითა და სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთით. ცხადია, მკითხველი საზოგადოება კრებულს სათანადო ინტერესით მიიღებს.